585
1964/2

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
# უმაღლესი საბჭოს
# უწყებები

№ 32 (265) 20 ნოემბერი 1964 წელი

## შ ი ნ ა ა რ ს ი

### ნაწილი I

#### განყოფილება პირველი

9362

554. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ.

#### განყოფილება მეორე

555. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის დ. ი. რიაბჩიკოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
556. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. ქ. კრახმალიოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
557. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ა. ტურბაის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
558. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საბჭოთა არმიის სამხედრო მოსამსახურეთა ჯგუფის სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ.
559. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრები მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

#### განყოფილება მესამე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ა. ი. მიქოიანს რწმუნების სიგელები გადასცა ერაყის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა მ. ნასერმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნაწილი II

## განყოფილება მეორე

560. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში წარჩინებული სამსახურისათვის" დაჯილდოების შესახებ.
561. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
562. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ს. ლომიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
563. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. კ. კალატოზიშვილისათვის (კალატოზოვისათვის) საქართველოს სსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
564. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. დ. მ. იურინოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნაწილი I

### განყოფილება პირველი

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**554 სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

მოწვეულ იქნეს სსრ კავშირის მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესია 1964 წლის 9 დეკემბერს ქალაქ მოსკოვში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 9 ნოემბერი.
№ 3001-VI.

### განყოფილება მეორე

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**555 სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის დ. ი. რიაბჩიკოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ**

ანალიზური ქიმიის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი დიმიტრი ივანეს ძე **რიაბჩიკოვი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის ორდენით.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 6 ნოემბერი.
№ 2998-VI.

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**556 ამხ. მ. კ. კრახმალიოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ**

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით სკკპ ბრიანსკის სასოფლო ოლქკომის პირველი მდივანი ამხ. მიხეილ კონსტანტინეს ძე **კრახმალიოვი** დაჯილდოვდეს **ლენინის ორდენით.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 9 ნოემბერი.
№ 3000-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 557 ამხ. გ. ა. ტურბაის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით კიროვოგრადის მშრომელთა დეპუტატების საოლქო (სასოფლო) საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. გრიგოლ ავტონომის ძე **ტურბაი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 9 ნოემბერი.

№ 3002-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 558 საბჭოთა არმიის სამხედრო მოსამსახურეთა ჯგუფის სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ

სტიქიური უბედურების დროს ბავშვების გადარჩენისას გამოჩენილი ვაჟკაცობის, მამაცობისა და თავგანწირულებისათვის დაჯილდოვდნენ:

**წითელი ვარსკვლავის ორდენით**

1. ზევადიანი სამსახურის ზემდეგი სოლტან ომარბის ძე **გაზდაროვი**.
2. ეფრეიტორი პეტრე მიხეილის ძე **სკრიაბინი**.

**მედლით „მამაცობისათვის“**

1. რიგითი ალექსანდრე ივანეს ძე **დონინი**.
2. რიგითი ალექსანდრე ივანეს ძე **რუსინოვი**.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 10 ნოემბერი.

№ 3003-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 559 საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრები მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მიენიჭოთ **„გმირი დედის“** საპატიო წოდება და გადაეცეთ **„გმირი დედის“** ორდენი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელი დედებს, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ათ-ათი შვილი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1 გიული მამედ ყზი **ალიევას** — ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, ბოლნისის რაიონი.

2. ყიზბიას ალას ყზი **ალიევას** — კოლმეურნეს, ბოლნისის რაიონის სოფელი მუღანლო.

3. არფენიკ ამაიაკის ასულ **აროიანს** — კარწახის რძე-ხორცეულის საბჭოთა მეურნეობის მუშას, ახალქალაქის რაიონი.

4. ჟუჟუნა ალექსანდრეს ასულ **გოგოხიას** — დიასახლისს, აფხაზეთის ასსრ გალის რაიონის სოფელი წარჩე.

5. იასამან დურსუნ ყზი **გუსეინოვას** — ყარაბულახის საბჭოთა მეურნეობის მუშას, ბოლნისის რაიონი.

6. ფადიმე მამედის ასულ **ძნელაძეს** — კოლმეურნეს, აჭარის ასსრ ქობულეთის რაიონის სოფელი ჩიქუნეთი.

7. ასიე ოსმანის ასულ **დიასამიძეს** — კოლმეურნეს, აჭარის ასსრ ქედის რაიონის სოფელი სიხალიძეები.

8. ცუცა ტიტიკოს ასულ **ელბაქიძეს** — დიასახლისს, ხაშურის რაიონის სოფელი გვერდისუბანი.

9. ხაჯა მუსა ყზი **ისაევას** — ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, ბოლნისის რაიონი.

10. მარიამ სერაფიონის ასულ **კაშიას** — დიასახლისს, ქალაქი ქუთაისი.

11. თინა ილიას ასულ **კიკვიძეს** — კოლმეურნეს, ამბროლაურის რაიონის სოფელი ლადიში.

12. ხაჯერ ხუსეინის ასულ **კოკოლაძეს** — კოლმეურნეს, აჭარის ასსრ ქობულეთის რაიონის სოფელი ჩიქუნეთი.

13. სადათ სამედ ყზი **მამედოვას** — ყარაბულახის საბჭოთა მეურნეობის მუშას, ბოლნისის რაიონი.

14. ფარი ბალაჯა ყზი **ოვჩიევას** — ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, ბოლნისის რაიონი.

15. ალექსანდრა ვიქტორის ასულ **პოლეშჩუკს** — მუშას, აფხაზეთის ასსრ გუდაუთის რაიონის სოფელი ბარმიში.

16. ფადიმე ხელილის ასულ **საფარიძეს** — კოლმეურნეს, აჭარის ასსრ ქედის რაიონის სოფელი დოლოგანი.

17. თამარ კონსტანტინეს ასულ **ჩაგავას** — კოლმეურნეობა „კუტოლის“ წევრს, აფხაზეთის ასსრ ოჩამჩირის რაიონი.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 12 ნოემბერი.

№ 3006-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება მესამე

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ა. ი. მიქოიანს რწმუნების სიგელები გადასცა ერაყის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა მ. ნასერმა

6 ნოემბერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ა. ი. მიქოიანმა კრემლში მიიღო ერაყის რესპუბლიკის ახალი საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი მუჰამედ ნასერი, რომელმაც გადასცა თავისი რწმუნების სიგელები.

ელჩს ახლდნენ მრჩეველი ნ. ფ. საფვატი, სამხედრო ატაშე, პოლკოვნიკი ი. ა. ალ-ლამი და საელჩოს სხვა დიპლომატიური თანამშრომლები.

რწმუნების სიგელების გადაცემისა და მას შემდეგ, რაც სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს, ა. ი. მიქოიანსა და მ. ნასერს შორის გაიმართა მეგობრული საუბარი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ვ. ს. სემიონოვმა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სამდივნოს უფროსმა კ. უ. ჩერნენკომ.

## ნაწილი II

## განყოფილება მეორე

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 560 მედლით „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში წარჩინებული სამსახურისათვის“ დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა მილიციის დღესთან დაკავშირებით, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში აქტიური მონაწილეობისათვის, მოვალეობის შესრულებისას გამბედაობისა და თავგანწირულების გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდნენ მედლით **„საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში წარჩინებული სამსახურისათვის“**:

1. ბერკრანკ ამაიაკის ძე **ამირიანი** — მილიციის მაიორი.
2. ბესარიონ კირილეს ძე **ბალავაძე** — მაიორი.
3. ანდრია მიხეილის ძე **ბობუა** — მილიციის პოდპოლკოვნიკი.
4. რევაზ ნიკოლოზის ძე **კავსაძე** — მილიციის კაპიტანი.
5. ანატოლ ვასილის ძე **კოსარევი** — მილიციის უფროსი ლეიტენანტი.
6. იოსებ იოსების ძე **კულუა** — მილიციის კაპიტანი.
7. გიორგი თევდორეს ძე **ლებანიძე** — მილიციის პოდპოლკოვნიკი.
8. კონსტანტინე მიხეილის ძე **მალიანი** — პოდპოლკოვნიკი.
9. სოლომონ დავითის ძე **სანადირაძე** — მილიციის პოლკოვნიკი.
10. ალექსანდრე დავითის ძე **სულაძე** — პოდპოლკოვნიკი.
11. შალვა იასონის ძე **ტოგონიძე** — მილიციის ზემდეგი.
12. ბაგრატ ვართანის ძე **ტუხულოვი** — მილიციის პოდპოლკოვნიკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

13. ალექსანდრე იასონის ძე **უბილავა** — მილიციის კაპიტანი.
14. ვლადიმერ გიორგის ძე **ქიტოშვილი**—მილიციის უმცროსი ლეიტენანტი.
15. დიმიტრი ვიქტორის ძე **ცუცქირიძე** — მილიციის პოდპოლკოვნიკი.
16. შალვა ბესარიონის ძე **წიკლაშვილი** — მილიციის კაპიტანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე.**

თბილისი. 1964 წლის 6 ნოემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 561 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა მილიციის დღესთან დაკავშირებით და მილიციის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოვდნენ **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:**

1. გურგენ პლატონის ძე **ალავიძე** — მილიციის პოლკოვნიკი.
2. გიორგი მიხეილის ძე **დავითაშვილი** — მილიციის პოდპოლკოვნიკი.
3. ტარიელ ალექსანდრეს ძე **ვეფხვაძე** — მილიციის მაიორი.
4. გიორგი ალექსანდრეს ძე **თაყაიშვილი** — მილიციის პოდპოლკოვნიკი.
5. გიორგი ნაუმის ძე **კაცაძე** — მილიციის უფროსი სერჟანტი.
6. სერგო სიმონის ძე **მამულოვი** — მილიციის პოლკოვნიკი.
7. ოთარ შალვას ძე **ულენტი** — მილიციის პოლკოვნიკი.
8. ალექსანდრე მელიტონის ძე **რუხაძე** — პოდპოლკოვნიკი.
9. გიორგი სერგის ძე **სკლიარენკო** — მილიციის პოდპოლკოვნიკი.
10. შოთა სევერიანეს ძე **ქურდიანი** — მილიციის პოდპოლკოვნიკი.
11. მამია გუდუს ძე **შურღაია** — მილიციის პოდპოლკოვნიკი.
12. ვახტანგ სიმონის ძე **ჩხიკვიშვილი** — მილიციის პოდპოლკოვნიკი.
13. იოსებ გრიგოლის ძე **ჯაბიევი** — მილიციის უფროსი ლეიტენანტი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე.**

თბილისი. 1964 წლის 6 ნოემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 562 ამხ. გ. ს. ლომიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით შულავერის ქეჩის ქარხნის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დირექტორი ამხ. გიორგი სამსონის ძე ლომიძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1964 წლის 9 ნოემბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 563 ამხ. მ. კ. კალატოზიშვილისათვის (კალატოზოვისათვის) საქართველოს სსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

კინოხელოვნების დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, ქართული საბჭოთა კინემატოგრაფიის განვითარებაში დამსახურებისათვის კინორეჟისორ მიხეილ კონსტანტინეს ძე კალატოზიშვილს (კალატოზოვს) მიენიჭოს საქართველოს სსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1964 წლის 11 ნოემბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 564 ამხ. დ. მ. იურინოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს სს რესპუბლიკის ჰიდროენერგეტიკულ მშენებლობაში დამსახურებისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით ს. მ. ჟუკის სახელობის „ჰიდროპროექტის“ ინსტიტუტის უფროსი ამხ. დიმიტრი მიხეილის ძე იურინოვი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1964 წლის 11 ნოემბერი.

## გ ა ს წ ო რ ე ბ ა

1964 წლის 12 ნოემბრის № 31 „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უწყებებში“ 531-ე მუხლის სათაური უნდა იკითხებოდეს: „მხარეების, ოლქების, რაიონების, აგრეთვე ქალაქების და სხვა დასახლებული პუნქტებისათვის, საწარმოების, კოლმეურნეობების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის სახელწოდების მიკუთვნების და შეცვლის წესის შესახებ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### მიმდინარეობს ხელმოწერა

# საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს

# უწყებებზე

## 1965 წლისათვის

### „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებებში“ ქვეყნდება:

**პირველ ნაწილში (ქართულ ენაზე):**

ა) სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ნორმატიული ხასიათის ბრძანებულებები და დადგენილებები, აგრეთვე სხვა დოკუმენტები;

ბ) სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები საბჭოთა კავშირის გმირისა და სოციალისტური შრომის გმირის წოდებათა, საპატიო წოდებათა მინიჭების და სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ;

გ) მოკლე ცნობები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და მისი პალატების, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მუშაობის შესახებ, ინფორმაცია საპარლამენტთაშორისო კავშირის სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის მოღვაწეობის შესახებ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნებისა და გაწვევის შესახებ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარისათვის უცხო სახელმწიფოთა ელჩების მიერ რწმუნების სიგელების გადაცემის შესახებ, ცნობები მოკავშირე რესპუბლიკების ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში მომხდარ ცვლილებათა შესახებ და სხვ.

**მეორე ნაწილში (ქართულ და რუსულ ენებზე):**

ა) საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ნორმატიული ხასიათის ბრძანებულებები და დადგენილებები;

ბ) საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭებისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ;

გ) ინფორმაცია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მისი მუდმივი კომისიების, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მუშაობის შესახებ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნებისა და გაწვევის შესახებ, რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში მომხდარ ცვლილებათა შესახებ და სხვ.

# „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები“

### გამოდის თვეში სამჯერ ქართულ და რუსულ ენებზე.

**ხელმოწერის ფასი:**

12 თვით — 2 მანეთი და 50 კაპ.
6 თვით — 1 მანეთი და 25 კაპ.

**ხელმოწერას მიიღებს:**

„სოიუზპეჩატი“, კავშირგაბმულობის განყოფილებები; კონტორები, სააგენტოები, ფოსტალიონები, აგრეთვე რწმუნებულები, რომელთაც ხელმოწერის მიღების უფლება აქვთ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამომცემლობა „იზვესტია“
მოსკოვი, ცენტრი, პუშკინის მოედანი, 5

დაიწყო ხელმოწერა

# სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებზე

## 1965 წლისათვის

„სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებში“

ქვეყნდება:

პირველ განყოფილებაში — სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ნორმატიული ხასიათის ბრძანებულებები და დადგენილებები; სსრ კავშირის მიერ უცხო სახელმწიფოებთან დადებული და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ რატიფიცირებული ხელშეკრულებები, შეთანხმებები და კონვენციები;

მეორე განყოფილებაში — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები საბჭოთა კავშირის გმირისა და სოციალისტური შრომის გმირის წოდებათა, საპატიო წოდებათა მინიჭების და სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ;

მესამე განყოფილებაში — მოკლე ცნობები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და მისი პალატების, მათი მუდმივი კომისიების, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მუშაობის შესახებ, ინფორმაცია საპარლამენტთაშორისო კავშირის სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის მოღვაწეობის შესახებ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნებისა და გაწვევის შესახებ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარისათვის უცხო სახელმწიფოთა ელჩების მიერ რწმუნების სიგელების გადაცემის შესახებ, ცნობები მოკავშირე რესპუბლიკების ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში მომხდარ ცვლილებათა შესახებ და სხვა.

## „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები“

გამოდის კვირაში ერთჯერ.

ხელმოწერის ფასი:

12 თვით — 4 მანეთი და 80 კაპ.
6 თვით — 2 მანეთი და 40 კაპ.
3 თვით — 1 მანეთი და 20 კაპ.
ხელმოწერა მიიღება ყოველ მომდევნო თვიდან.

ხელმოწერას მიიღებს:

„სოიუზპეჩატის“ საქალაქო და რაიონული განყოფილებები, კავშირგაბმულობის კონტორები, განყოფილებები და სააგენტოები, ფოსტალიონები, აგრეთვე რწმუნებულები, რომელთაც ფაბრიკებში, ქარხნებში, მშენებლობებზე, შახტებში, რკინიგზის ტრანსპორტზე, საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში, სასწავლებლებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში ხელმოწერის მიღების უფლება აქვთ.